საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 1

ქ. თბილისი 18 იანვარი, 2019 წელი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ჩიტაშვილი მარინე, შალიკაშვილი მორის, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნატა სტურუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **თამარი ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე ერგეშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **მერი დაუშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **თამარ ღუტიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

10. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თინათინ მეძმარიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
11. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **სალომე საყვარელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
13. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოსოფია“ დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
14. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
15. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ზურაბი ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
16. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
17. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტის **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
18. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია“ დოქტორანტ **დავით სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ;
19. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ლევან გელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ;
20. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ივანე მჭედელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

**დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ნატა სტურუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ნათია ჩიტაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „შრომითი ურთიერთობის რეგულირების

სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით – შედარებით–სამართლებრივი ანალიზი დასავლურ სტანდარტებთან" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა 82 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაია დაინტერესდა, თუ რატომ არაა მითითებული დისერტაციაში დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები და რომელ ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

**მოისმინეს:** ნათია ჩიტაშვილმა განმარტა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დებულებით დოქტორანტს არ მოეთხოვება დისერტაციაში საკუთარი პუბლიკაციების გამოყენება. სტატიები გამოქვეყნებული აქვს სამართლის ორენოვან ჟურნალში, საქართველოში.

**აზრი გამოთქვა:** დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სტატიების გამოყენება დისერტაციაში გაზრდიდა სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას და არ წარმოადგენს თვითციტირებას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნატა სტურუასთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ომარ ფურთუხიას ინფორმაცია დისერტაციის - „ზოგიერთი სეისმური პროცესის ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში 7 წევრიდან 4 სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო. დისერტაცია შეფასდა 88 ქულით. დისერტაციაში მითითებულია დოქტორანტის გამოქვეყნებული 4 სამეცნიერო ნაშრომი, საიდანაც 2 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია გამოცემული.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია მეტყველებს დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებაზე და შესაბამისად, მხარს უჭერს აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ალექსანდრე სბორშჩიკოვისთვის** მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **თამარი ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, თსუ პროფესორის, ლია მაჭავარიანის ინფორმაცია დისერტაციის - „ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-

ეკოლოგიური ანალიზი და ბუნებათსარგებლობის პრობლემები" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში 9 წევრი იყო. დისერტაცია შეფასდა 90 ქულით. დისერტაციაში მითითებულია დოქტორანტის გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, საიდანაც 1 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია გამოცემული 2017 წელს. აღნიშნა, რომ თ. ხარძიანი საინტერესო მკვლევარია; მან სტაჟირება გაიარა ბრემენის უნივერსიტეტში.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნება ძალიან მნიშვნელოვანია და მხარს უჭერს აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარი ხარძიანისთვის** გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილის ინფორმაცია დისერტაციის - ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (1996-2016)" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 98 ქულით. აღნიშნა დოქტორანტის გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, საიდანაც 3 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია გამოცემული.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ პირველი შემთხვევაა, როცა ამ ფაკულტეტის დოქტორანტს კვლევა გამოქვეყნებული აქვს იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში.

**აზრი გამოთქვა:** ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაცია შესრულებულია მაღალ დონეზე და დოქტორანტი ნამდვილად იმსახურებდა მიღებულ შეფასებას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლევან სილაგაძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე ერგეშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ნოდარ ხადურის ინფორმაცია დისერტაციის - ,,გაცვლითი კურსის ზეგავლენა მაკროეკონომიკურ გარემოზე" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 97 ქულით. აღნიშნა, რომ დოქტორანტი ეროვნული ბანკის თანამშრომელია და ნაშრომში თეორიული ცოდნა

შეჯერებულია პრაქტიკულ გამოცდილებასთან. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ერთი აშშ-ში, რეიტინგულ ჟურნალში.

**აზრი გამოთქვა:** ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ ესწრებოდა დისერტაციის დაცვას, რომელიც პროცედურის სრული დაცვით წარიმართა და დოქტორანტი ნამდვილად იმსახურებდა მიღებულ შეფასებას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ალექსანდრე ერგეშიძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, მერაბ ჯიქიას - თსუ ასოცირებული პროფესორის ინფორმაცია დისერტაციის - „ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ ნაშრომში განხილულია მონოპოლისტი კომპანიები - თელასი, ენერგო-პროჯორჯია და კახეთის ენერგოდისტრიბუცია. დისერტაცია შეფასდა 99 ქულით. აღნიშნა, რომ დოქტორანტი სტაჟირებაზე იმყოფებოდა აშშ-ში.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯოხაძე დაინტერესდა აღნიშნული კვლევა არის თუ არა ხელმისაწვდომი გასაცნობად აღნიშნული კომპანიებისათვის.

**მოისმინეს:** მ. ჯიქიამ აღნიშნა, რომ იგეგმება დისერტაციის გამოქვეყნება და წარდგენა კომპანიებისათვის.

**მოისმინეს:** ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ ლია გვაზავა სემეკის თანამშრომელია და შესაბამისად, გააცნობს საკუთარი კვლევის შედეგებს.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლია გვაზავასთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **მერი დაუშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. სიმონ გელაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური რეფორმირება საქართველოში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 92 ქულით. აღნიშნა, რომ დოქტორანტი წლების განმავლობაში მუშაობდა საბაჟო სტატისტიკის

საკითხებზე, იყო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელი და ნაშრომში თეორიული ცოდნა შეჯერებულია პრაქტიკულ გამოცდილებასთან. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ერთი უცხოეთში, რეიტინგულ ჟურნალში.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ მისასალმებელია უცხოეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მერი დაუშვილისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის თემურ შენგელიას ინფორმაცია დისერტაციის - „ელექტრონული სერვისების როლი ბიზნესის განვითარებაში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დისერტაცია შეფასდა 94 ქულით. გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, საუკეთესოდ ფლობს უცხო ენებს; მონაწილეობა აქვს მიღებული უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციებში, სადაც წარადგინა დისერტაციის კვლევის შედეგები.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **დიმიტრი ჯავახაძისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **თამარ ღუტიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილის ინფორმაცია დისერტაციის - "აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 92 ქულით. აღნიშნა დოქტორანტის გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილი დაინტერესდა იმ ჟურნალებით, რომელშიც გამოქვეყნდა დისერტაციის ცალკეული ნაწილები.

**მოისმინეს:** ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ ნაშრომები გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის

შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ღუტიძისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **თინათინ მეძმარიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფ. ვასილ კიკუტაძის ინფორმაცია დისერტაციის - „ბიზნესის ჩართულობა საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 96 ქულით. აღნიშნა, რომ დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს ინდექსირებულ, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თინათინ მეძმარიაშვილისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **სალომე საყვარელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ნოდარ ხადურის ინფორმაცია დისერტაციის - ,,მოტივაციის ზრდის სტრატეგიები საქართველოს საჯარო უწყებებში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ერთი უცხოეთში, მაღალრეიტინგულ ჟურნალში. კვლევის შედეგები წარმოადგინა უცხოეთში, გერმანიასა და უკრაინაში, ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. მუშაობს საჯარო სექტორში, მერიაში და შესაბამისად, მისი ნაშრომიც პრაქტიკულ საქმიანობას უკავშირდება.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯოზავა დაინტერესდა დისერაციის შეფასებით, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობით და გამოქვეყნებული შრომებით.

**მოისმინეს:** პროფ. ნოდარ ხადურმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს სტატიები გამოქვეყნებული აქვს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. შემუშავებულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, თუმცა მათი დანერგვა რთულ პროცესს წარმოადგენს. ნაშრომი შეფასდა 94 ქულით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სალომე საყვარელიძისთვის** ბიზნესის ადმინისტირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფ. დავით სიხარულიძის ინფორმაცია დისერტაციის - ,,ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 97 ქულით. ის არის 2 საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი. არის ბრიტანული ფონდის „არკადიას" მიერ დაფინანსებული პროექტის - ლანდშაფტების აღდგენა საქართველოში - მენეჯერი.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ალექსანდრე მიქელაძისთვის** ბიზნესის ადმინისტირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ფილოსოფია" დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის არცერთი წევრი.
**დაადგინეს:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ფილოსოფია" დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ისტორია" დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის არცერთი წევრი.
**დაადგინეს:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ისტორია" დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ზურაბი ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის არცერთი წევრი.
**დაადგინეს:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტური პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ზურაბი ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფ. ნათია კუპრაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წლები)" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 75 ქულით. ნ. კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებისას დოქტორანტი კომისიის ერთი წევრის მიერ შეფასდა უარყოფითად, თუმცა კომისიის სხვა წევრებმა მისი მოსაზრებები არ გაითვალისწინეს.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა, ცნობილი იყო თუ არა კომისიის თავმჯდომარისთვის კომისიის იმ ერთი წევრის განსხვავებული მოსაზრება? იყო თუ არა მსჯელობა დაცვისას?

**მოისმინეს:** ნ. კუპრაშვილა აღნიშნა, რომ დაცვისას საინტერესო მსჯელობა მიმდინარეობდა; განიხილეს აქტუალური საკითხები, რადგან უსაფრთხოების თემა მეტად მნიშვნელოვანია, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. მან განაცხადა, რომ პირადად მან მისცა უარყოფითი შეფასება - 49 ქულა, რადგან თვლის, რომ ნაშრომი არ იმსახურებდა დადებით ქულას.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მუშაობის პერიოდში ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრებს მკვეთრად განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ, რაც შეფასებაშიც აისახა.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან დღეს წარმოდგენილ ორ დისერტაციას და მათ შორის ხარისხობრივი სხვაობა არაა. უცხოელი რეცენზენტები დისერტაციებს დადებით შეფასებებს აძლევენ.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ნარინდოშვილისთვის** მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ნ. ჭალაგანიძის ინფორმაცია დისერტაციის - „სვეტის ტრანსფორმაცია ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. დისერტაცია შეფასდა 91 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავამ იკითხა სად იყო გამოქვეყნებული სტატიები?

**მოისმინეს:** ნ. ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ სამივე სტატია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე; ერთი სტატია - „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალში“ 2016 წელს, მეორე - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „ინტელექტუალი“ 2017 წელს, ხოლო მესამე - სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში - სტუდენტური კვლევები.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა ხ. მაისაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტთან ერთად მუშაობდა სამეცნიერო პროექტზე და სტატია გამოსაქვეყნებლად გაგზავნილია ინდექსირებულ მაღალრეიტინგულ ჟურნალში, რომელიც განხილვის პროცესშია.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნათია სვანიძისთვის** მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია“ დოქტორანტ **დავით სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის („მყინვარების სივრცე-დროითი ფლუქტუაციების ანალიზი მცირე გამყინვარების შემდგომ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გეოინფორმაციული და დისტანციური ზონდირების მეთოდების გამოყენებით“) რეცენზენტები და დაცვის კომისია.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა დასვა კითხვა წარმოდგენილი რეცენზენტებისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების კომპეტენციების თაობაზე საკვლევ თემასთან მიმართებაში.

**აზრი გამოთქვა:** გ. ლომინაძემ აღნიშნა, რომ ის არის დანიშნული რეცენზენტად და ისევე როგორც მას, ასევე სხვა ორ რეცენზენტსაც აქვს კვლევები და სამეცნიერო პუბლიკაციები გლაციოლოგიის სფეროში. ვერ დაასაბუთებს დაცვის კომისიის წევრების კვლევის გამოცდილებას აღნიშნულ დსრგში, რადგან წარმოდგენილი წევრებიდან ერთერთს აქვს ეკონომიკის დოქტორის , ხოლო ორს - ტექნიკის დოქტორის კვალიფიკაცია.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ საბჭომ მხედველობაში მიიღოს გ. ლომინაძის განმარტება, შესაბამისად, დაამტკიცოს რეცენზენტები და ფაკულტეტმა წარმოადგინოს დაცვის კომისიის წევრების კვლევის დარგში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ არც რეცენზენტების დამტკიცებას უჭერს მხარს.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 10-მა წევრმა, წინააღმდეგია - 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია“ დოქტორანტ **დავით სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად წარმოდგენილი კანდიდატურები და ფაკულტეტმა მომდევნო სხდომისათვის წარმოადგინოს დაცვის კომისიის წევრების კვლევის მიმართულებით/დარგში/სპეციალობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი.

ა) ზურაბ ჯანელიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი.

ბ) გიორგი ლომინაძე - თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,

გეოგრაფიის დოქტორი.

გ) გიორგი გაფრინდაშვილი - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო გეოლოგიის ჯგუფის უფროსი, გეოგრაფიის დოქტორი.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ლევან გელაშვილის** („ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ნარატივი ქართულ მოდერნისტულ ტექსტებში“, ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამარ პაიჭაძე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა დასვა კითხვა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების კომპეტენციის თაობაზე საკვლევ თემასთან მიმართებაში; აქვთ თუ არა გამოქვეყნებული პუბლიკაციები კვლევის მიმართულებით/დარგში/სპეციალობაში. აღნიშნა, რომ კომისიის დამტკიცებას არ უჭერს მხარს.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ ის იცნობს წარმოდგენილ კომისიის წევრებს, მათ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და მისთვის, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორისთვის მისაღებია აღნიშნული კომისია.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 10-მა წევრმა, წინააღმდეგია - 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ლევან გელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) კახაბერ ლორია - თსუ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ბ) კონსტანტინე ბრეგაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

გ) ირმა რატიანი - თსუ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

დ) მაკა ელბაქიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ე) თამარ შარაბიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ვ) ნინო წერეთელი - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ზ) ნინო მინდიაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ივანე მჭედელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია („პოსტსაბჭოთა ქართული და უკრაინული ლიტერატურული დისკურსი პოსტკოლონიალიზმის კონტექსტში“, ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ბაქანიძე, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი).

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა დასვა კითხვა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების კომპეტენციის თაობაზე საკვლევ თემასთან მიმართებაში; აქვთ თუ არა გამოქვეყნებული პუბლიკაციები კვლევის მიმართულებით/დარგში/სპეციალობაში. აღნიშნა, რომ კომისიის დამტკიცებას არ უჭერს მხარს.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და შეცვალა დაცვის კომისიის შემადგენლობა.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 10-მა წევრმა, წინააღმდეგია - 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ივანე მჭედლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) თამარ შარაბიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

ბ) თამარ პაიჭაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

გ) ნინო წერეთელი - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

დ) გაგა ლომიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

ე) ნინო ნასყიდაშვილი - თსუ უკრაინისტიკის ცენტრის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ვ) სოფიო ჩხატარაშვილი - თსუ უკრაინისტიკის ცენტრის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ზ) მარიამ მირესაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი